—+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ იანვარი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №27–ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N 29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 13.25 კვ.მ. ფართის ინდ. მეწარმე „ მურთაზ კანკაძისათვის“ ადგილობრივი ბეჭდვითი გაზეთის ფუნქციონირების მიზნით, საოფისე ფართისათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48260155, 15/01/2026) წერილი, რომელშიც ინდ.მეწარმე „მურთაზ კანკაძის“ განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას აღნიშნულ პირს ადგილობრივი ბეჭდვითი გაზეთის ფუნქციონირების მიზნით, საოფისე ფართისათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №27–ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 13.25 კვ.მ. ფართი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №27–ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N 29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 13.25 კვ.მ. ფართის ინდ. მეწარმე „ მურთაზ კანკაძისათვის“ ადგილობრივი ბეჭდვითი გაზეთის ფუნქციონირების მიზნით, საოფისე ფართისათვის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48260155**
თარიღი: **15/01/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულ
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ინდ. მეწარმე ,,მურთაზ კანკაძის'' განცხადება (თან ერთვის), რომელშიც ითხოვს ადგილობრივი მოსახლეობის, მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებითა და გაზეთის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საოფისე ფართისათვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N27-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 13.25 კვ.მ. ფართი, რომელზეც ხელშეკრულების მოქმედების ვადა სრულდება 2026 წლის 23 იანვარს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, ინდ. მეწარმე ,,მურთაზ კანკაძეს'' ადგილობრივი ბეჭდვითი გაზეთის ფუნციონირების მიზნით, საოფისე ფართისათვის, სარგებობლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N27-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 13.25 კვ.მ. ფართი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი